შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესი

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს წესი ადგენს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) არქიტექტურის ინგლისურენოვან და ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდგომში (,,არქიტექტურის პროგრამა“) შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესსა და პირობებს.

1.2. წინამდებარე წესის მიზნებისათვის, შემოქმედებითი ტური ორიენტირებულია აპლიკანტის შემოქმედებითი პოტენციალისა და სივრცითი აზროვნების ღია და სამართლიან შეფასებაზე. აბიტურიენტი (მათ შორის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირი), რომელიც გამოხატავს სურვილს ჩაირიცხოს იბსუ-ში, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გამოხატავს სურვილს იბსუ-ში გადმოვიდეს მობილობის წესით არქიტექტურის პროგრამაზე, ვალდებულია გაიაროს შემოქმედებითი ტური.

1.3. შემოქმედებითი ტურის წარმატებით გასვლის შემთხვევაში, წინამდებარე წესის 1.2 პუნქტით განსაზღვრული პირი არქიტექტურის პროგრამაზე ირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. შემოქმედებითი ტურის ადმინისტრირება

2.1. შემოქმედებითი ტურის ჩატარების მიზნით, უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება კომისია. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

2.2. კომისიის შემადგენლობაში შედიან დარგის სულ მცირე 4 (ოთხი) სპეციალისტი.

მუხლი 3. შემოქმედებითი ტურისგან გათავისუფლების საფუძვლები

3.1. კანდიდატი თავისუფლდება შემოქმედებითი ტურისაგან:

3.1.1. თუ მობილობის მსურველ სტუდენტს სხვა უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში გავლილი აქვს შემოქმედებითი ტური ხატვაში და/ან უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურზე გავლილ აქვს ხატვა ან ხატვასთან დაკავშირებული სასწავლო კომპონტი.

მუხლი 4. შემოქმედებითი ტურის შეფასების მეთოდი და კრიტერიუმები

4.1. შემოქმედებითი ტური შედგება 2 (ორი) ეტაპისგან: პორტფოლიოს წარდგენა და შემოქმედებითი ინტერვიუ (გასაუბრება).

4.2. **ეტაპი 1: პორტფოლიოს წარდგენა** – კანდიდატმა ელექტრონულად უნდა წარმოადგინოს (გადმოაგზავნოს/ატვირთოს) შემოქმედებითი პორტფოლიო, რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე 5 (ხუთ) ნამუშევარს. პორტფოლიოში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს: ა) ნახაზები, ნახატები და ჩანახატები; ბ) მაკეტების ან ხელნაკეთი ნამუშევრების ფოტოები; გ) ფოტო ან ვიდეო ნამუშევრები; დ) ნებისმიერი სხვა ნამუშევარი, რომელიც წარმოაჩენს კანდიდატის შემოქმედებითობას, სივრცით აღქმასა და ხელით მუშაობის უნარებს.

4.3. **ეტაპი 2: შემოქმედებითი ინტერვიუ** – პორტფოლიოს საფუძველზე შერჩეული კანდიდატები გაივლიან 15-20 წუთიან გასაუბრებას კომისიასთან, რომელიც მოიცავს: ა) წარმოდგენილი პორტფოლიოს განხილვას; ბ) მცირე გრაფიკულ დავალებას – კანდიდატი 10 წუთის განმავლობაში, ადგილზე ასრულებს წინასწარ უცნობ ვიზუალურ ამოცანას, სადაც ფასდება მისი სივრცითი აღქმა, გრაფიკული გადმოცემის უნარი და პრობლემის გადაჭრის შემოქმედებითი გზა. გრაფიკული დავალება მოიცავს A4 ფურცელზე სამ განზომილებიანი ობიექტის ჩანახატის შესრულებას, გარკვეული მითითებების შესაბამისად.

4.4. **შეფასების სისტემა:** შემოქმედებითი ტურის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

4.5. ქულების გადანაწილება ხორციელდება შემდეგი პროპორციით: ა) პორტფოლიო – მაქსიმუმ 30 ქულა; ბ) გასაუბრება და გრაფიკული დავალება – მაქსიმუმ 70 ქულა.

4.6. კომისია კანდიდატს აფასებს წინასწარ დადგენილი შეფასების რუბრიკის მიხედვით.

4.7. **ბარიერი:** შემოქმედებითი ტური წარმატებით გავლილად (დადებით შეფასებად) ჩაითვლება, თუ კანდიდატმა დააგროვა ჯამური მაქსიმალური ქულის მინიმუმ 41% (ანუ 41 ქულა).

4.8. შეფასების კრიტერიუმები დეტალურად წარმოდგენილია დანართი 1-ის სახით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. საკითხები რაც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სხვა დებულებების მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი 1

	პორტფოლიოს შეფასება	მაქს. ქულა - 30
1	ნამუშევრების მრავალფეროვნება	5
2	სივრცითი აზროვნება და მოცულობის აღქმა ნამუშევრებში	10
3	ორიგინალურობა და შემოქმედებითი ხედვა	5
4	ხელით მუშაობისა და გრაფიკული შესრულების ტექნიკური ხარისხი	10

	შემოქმედებითი ინტერვიუ	მაქს. ქულა - 70
1	პორტფოლიოს არგუმენტაცია და იდეების დასაბუთების უნარი	10
2	არქიტექტურისა და დიზაინის მიმართ ინტერესი და მოტივაცია	10
3	კომუნიკაციისა და აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბების უნარი	10
4	ხელით მუშაობისა და გრაფიკული შესრულების ტექნიკური ხარისხი	10
5	დავალების გააზრება და შემოქმედებითი გადაწყვეტა	10
6	სამგანზომილებიანი ობიექტის სივრცეში აღქმა	10
7	კომპოზიციური განაწილება	10

შეფასების რუბრიკა

პორტფოლიოს შეფასება (მაქსიმუმ 30 ქულა)

1. ნამუშევრების მრავალფეროვნება (მაქს. 5 ქულა)

5 ქულა: პორტფოლიო მრავალფეროვანია. შეიცავს სხვადასხვა ტექნიკასა და მასალაში შესრულებულ ნამუშევრებს (მაგ: ფანქრის ჩანახატი, ფერწერა, მაკეტი, ფოტოგრაფია, ვიდეოგრაფია და ა.შ).
3-4 ქულა: წარმოდგენილია გარკვეული მრავალფეროვნება (მაგ: 2 სხვადასხვა ტექნიკა), თუმცა პორტფოლიო ძირითადად ერთი მიმართულებით იხრება.
1-2 ქულა: ნამუშევრები მწირია და ერთფეროვანი, შესრულებულია მხოლოდ ერთი ტექნიკით.
0 ქულა: წარმოდგენილია არასაკმარისი რაოდენობის (1-2) ნამუშევარი ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

2. სივრცითი აზროვნება და მოცულობის აღქმა ნამუშევრებში (მაქს. 10 ქულა)

9-10 ქულა: ნამუშევრებში იდეალურად იკვეთება სივრცის, სიღრმისა და მოცულობების შეგრძნება. ობიექტები სამგანზომილებიან სივრცეში დამაჯერებლადაა განთავსებული.
7-8 ქულა: სივრცითი აღქმა კარგადაა გამოხატული, თუმცა გვხვდება მცირე უზუსტობები პერსპექტივასა და მოცულობების აგების ნაწილში.
4-6 ქულა: მოცულობები აღქმადია, მაგრამ ხშირად ირღვევა პერსპექტივის წესები ან მასშტაბი. აზროვნება მეტწილად სიბრტყობრივია.
1-3 ქულა: სივრცითი აზროვნება ძალიან სუსტია, ნამუშევრები სრულად ბრტყელი და არაპროპორციულია.
0 ქულა: ნამუშევრებში სივრცითი აღქმა საერთოდ არ ფიქსირდება.

3. ორიგინალურობა და შემოქმედებითი ხედვა (მაქს. 5 ქულა)

5 ქულა: ნამუშევრები გამოირჩევა მაღალი შემოქმედებითობით, ორიგინალური კომპოზიციებითა და ავტორის ინდივიდუალური ხედვით.
3-4 ქულა: ნამუშევრები ესთეტიკურია, თუმცა იდეები სტანდარტულია და აკლია მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი.
1-2 ქულა: შემოქმედებითობა სუსტია, ნამუშევრები შაბლონურია ან წარმოადგენს სხვა ნამუშევრების პირდაპირ ასლს.
0 ქულა: შემოქმედებითი ხედვა არ შეინიშნება.

4. ხელით მუშაობისა და გრაფიკული შესრულების ტექნიკური ხარისხი (მაქს. 10 ქულა)

9-10 ქულა: ტექნიკური შესრულება (შტრიხი, ტონალობა, სისუფთავე, მასალის ფლობა) უმაღლეს დონეზეა.
7-8 ქულა: ხარისხი კარგია, თუმცა აღინიშნება მცირედი ტექნიკური ხარვეზები ან უზუსტობები.
4-6 ქულა: საშუალო დონის შესრულება. აპლიკანტი ფლობს საბაზისო ტექნიკას, მაგრამ შესრულება უხეშია და აკლია დახვეწილობა.
1-3 ქულა: შესრულების დაბალი ხარისხი. აღინიშნება უხეში ტექნიკური ხარვეზები და ნამუშევრის მოუწესრიგებლობა.
0 ქულა: შესრულების ხარისხი ძალიან დაბალია და შეუსაბამოა მოთხოვნებთან.

შემოქმედებითი ინტერვიუ (მაქსიმუმ 70 ქულა)

1. პორტფოლიოს არგუმენტაცია და იდეების დასაბუთების უნარი (მაქს. 10 ქულა)
9-10 ქულა: დამაჯერებლად და მკაფიოდ ხსნის ნამუშევრების შექმნის პროცესს, ლოგიკურად და არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებებს.
7-8 ქულა: კარგად საუბრობს ნამუშევრებზე, თუმცა უჭირს იდეის სიღრმისეული ანალიზი და მცირე დახმარებას/დამაზუსტებელ კითხვებს საჭიროებს.
4-6 ქულა: ზოგადად აღწერს ნამუშევრებს, მაგრამ არ გააჩნია არგუმენტაცია და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების უნარი.
1-3 ქულა: ძალიან უჭირს პორტფოლიოზე საუბარი და კითხვებზე პასუხის გაცემა.
0 ქულა: ვერ ან არ საუბრობს საკუთარ პორტფოლიოზე.

2. არქიტექტურისა და დიზაინის მიმართ ინტერესი და მოტივაცია (მაქს. 5 ქულა)
5 ქულა: ავლენს დიდ ენთუზიაზმს, პროფესიის სპეციფიკის კარგ გააზრებას და მაღალ მოტივაციას.
3-4 ქულა: გააჩნია ინტერესი, თუმცა წარმოდგენა პროფესიაზე ზედაპირულია.
1-2 ქულა: მოტივაცია სუსტია, უჭირს ახსნა, რატომ აირჩია ეს მიმართულება.
0 ქულა: მოტივაცია და ინტერესი არ ფიქსირდება.

3. კომუნიკაციისა და აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბების უნარი (მაქს. 5 ქულა)
5 ქულა: საუბრობს გამართულად, სტრუქტურირებულად და ნათლად აყალიბებს აზრს.
3-4 ქულა: აზრის ჩამოყალიბება მეტ-ნაკლებად ლოგიკურია, თუმცა საუბარში შეინიშნება შებოჭილობა ან აზრის წყვეტა.
1-2 ქულა: უჭირს აზრის გასაგებად და ლოგიკურად გადმოცემა.
0 ქულა: კომუნიკაცია ფაქტობრივად არ შედგა.

4. ხელით მუშაობისა და გრაფიკული შესრულების ტექნიკური ხარისხი (პროცესის შეფასება) (მაქს. 10 ქულა)
9-10 ქულა: დავალებაზე მუშაობის პროცესში დამაჯერებლად იყენებს სახაზავ/სახატავ ინსტრუმენტებს, ფლობს პროპორციების აგების ტექნიკას და მუშაობს სუფთად.
7-8 ქულა: შესრულების ტექნიკა კარგია, მცირეოდენი ხარვეზებით.
4-6 ქულა: ტექნიკა დამაკმაყოფილებელია, თუმცა პროცესი ქაოსურია და აკლია სიზუსტე.
1-3 ქულა: უჭირს სახატავი ინსტრუმენტების სწორად და ეფექტურად გამოყენება.
0 ქულა: უარს ამბობს მუშაობაზე ან საერთოდ არ ფლობს ელემენტარულ ტექნიკას.

5. დავალების გააზრება და შემოქმედებითი გადაწყვეტა (მაქს. 10 ქულა)
9-10 ქულა: ადგილზე მიცემული დავალების პირობა ზუსტადაა გაგებული, გადაწყვეტა არის ლოგიკური, საინტერესო და ორიგინალური.
7-8 ქულა: დავალება სწორად არის გააზრებული, თუმცა გადაწყვეტა სტანდარტულია და აკლია შემოქმედებითობა.
4-6 ქულა: დავალების არსი ნაწილობრივაა გაგებული, გადაწყვეტა ბანალურია და შეიცავს ლოგიკურ ხარვეზებს.
1-3 ქულა: დავალების პირობა არასწორად გაიგო, რის გამოც ნამუშევარი არ პასუხობს დასმულ ამოცანას.
0 ქულა: დავალება არ გაიაზრა / არ შეასრულა.

6. სამგანზომილებიანი ობიექტის სივრცეში აღქმა (მაქს. 10 ქულა)
9-10 ქულა: პერსპექტივა და ობიექტის მოცულობები უნაკლოდაა აგებული. სტუდენტი იდეალურად გადმოსცემს სამგანზომილებიან სივრცეს.
7-8 ქულა: მოცულობები კარგად იკითხება, თუმცა შეინიშნება მცირე დარღვევები.
4-6 ქულა: ობიექტი ნაწილობრივ აღიქმება სივრცეში, თუმცა დაშვებულია არსებითი შეცდომები.
1-3 ქულა: ობიექტი სრულად ბრტყელია და დამახინჯებულია პროპორციები.
0 ქულა: სივრცითი აღქმა ნამუშევარში არ არის.

7. კომპოზიციური განაწილება (მაქს. 10 ქულა)
9-10 ქულა: გამოსახულება ფურცელზე იდეალურად და პროპორციულადაა განაწილებული. დაცულია მინდვრები (ცენტრირება, ბალანსი).
7-8 ქულა: კომპოზიცია კარგია, თუმცა ოდნავ გადაწეულია ცენტრიდან ან ოდნავ მცირე/დიდი მასშტაბისაა ფურცელთან მიმართებაში.
4-6 ქულა: კომპოზიცია დაუბალანსებელია, ნახატი შეუსაბამოდ პატარაა ან სცდება ფურცლის საზღვრებს.
1-3 ქულა: კომპოზიციური განაწილება სრულად დარღვეულია, არ არის დაცული არანაირი ბალანსი.
0 ქულა: ნამუშევარი არ იძლევა კომპოზიციის შეფასების საშუალებას.